გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

06 დეკემბერი 2024

N 2-865

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „სტოკი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 და მე-6 მუხლებისა და შპს „სტოკი“-ს 2024 წლის 14 ნოემბრის N34348 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „სტოკი“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 206348371) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობებით:
    - 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 63 000 კგ;
    - R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 10 000 კგ;
    - R410A (HFC-32/HFC-125) – 16 000კგ;
    - R507(R507A ან R507C) (HFC-143a/HFC-125) – 1 500კგ;
    - R452A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF) - 500კგ.
    - დიფთორმეთანი (HFC-32) – 1 000კგ;
    - R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 1 500კგ;
    - R449A (HFC-32/HFC-125/HFO-1234YF/HFC-134a) - 800კგ;
2. ნებართვა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათლით;
3. შპს „სტოკმა“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით

გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სტოკს“;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე